

ღია წერილი
ანტონიო გუტერესს,
გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს

2011 წ. თებერვლის გაეროს ლტოლვილთა
უმაღლესი კომისრის (გლუკ-ი) საქართველოს
წარმომადგენლობის ოფიციალური განცხადების
პასუხად

17 თებერვალი, 2011
თბილისი, საქართველო

ჩვენ, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, მაღალ შეფასებას ვაძლევთ გლუკის, როგორც მიუკერძოებელი ორგანიზაციის სულისკვეთებასა და საქმიანობას, დაიცვას და დაეხმაროს ლტოლვილებს და სწვებს, მათი საჭიროების გათვალისწინებით, მიუხედავად რასის, აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულების ან გენდერული კუთვნილებისა.

სწორედ ამიტომ, ჩვენს ვალად მიგვაჩნია, კრიტიკული ღია წერილი გამოვამჟღავნოთ საქართველოში გლუკის წარმომადგენლობის ა.წ. თებერვლის ოფიციალური განცხადების საპასუხოდ და მიგმართოთ გლუკის სათავე ოფისს ჟენევაში.

გლუკის 2011 წლის თებერვლის ოფიციალურმა განცხადებამ დევნილთა გამოსახლებასთან დაკავშირებით შელახა და ეჭვქვეშ დააყენა თავისი რეპუტაცია, შეურაცხველი დააბნია და გაადიზიანა საზოგადოება, ომით დაზარალებულებს, დევნილებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს აფიქრებინა, რომ გლუკის წარმომადგენლობის როლი მხოლოდ ხელისუფლების უკანონო ქმედებების გამართლებაშია.

ჩვენ გამოვთქვამთ გულისტკივილს ზემოთქმულთან დაკავშირებით და ვაცხადებთ, რომ უნდა აღიკვეთოს მსგავსი პრაქტიკა, როდესაც თავისი უკანონო ქმედებების გასამართლებლად ხელისუფლება გლუკის წარმომადგენლობისკენ იშვერს ხელს ან მის განცხადებას ეფარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი შეშფოთების საგანი რჩება შემდეგი:

1. საზოგადოება, მათ შორის ჩვენ, თებერვლის ოფიციალური განცხადების მიხედვით ვერ გაგვერკვიეთ რას დააკვირდა გლუკი – დევნილთა გამოსახლებას თუ გადაყვანას.

ჩვენთვის დღემდე ხელმოუწვდომელია ინფორმაცია გლუკის დაკვირვების შედეგებთან დაკავშირებით, კერძოდ, გლუკის წარმომადგენლობა საქართველოში აქვეყნებს ოფიციალურ განცხადებას ისე, რომ იმავედროულად საზოგადოებამ არ იცის, როგორია მათი დაკვირვების ოფიციალური შედეგები, სტატისტიკა; რა მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული დაკვირვების განსახორციელებლად, როგორი იყო დაკვირვების ფარგლები, რას აკვირდებოდნენ: გამოსახლებას, გადაყვანას თუ განსახლებას, ან იქნებ ყველაფერს ერთად? და ბოლოს, რა დასკვნა და რეკომენდაცია გაკეთდა გლუკის მხრიდან.

ამის ნაცვლად, გლუკის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ 2011 წლის იანვრის გამოსახლება 2010 წლის ზაფხულის გამოსახლებას სჯობდა; არაპროპორციული ძალის გამოყენება გლუკმა დაადასტურა მხოლოდ მედია მასალების საფუძველზე, ნაცვლად საკუთარი დაკვირვებისა. განცხადებაში საქართველოში გლუკის წარმომადგენლობა იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: “ძირითადად დევნილები”, “რამდენადაც ცნობილია”, “არაფინ დარჩა ქუჩაში”, “ვინც დროულად შეაფასო” და სხვა ამისთანანი.

მიგვაჩნია, რომ ასეთი ზოგადი ტერმინები შორსაა თვლადი, გაზომვადი კრიტერიუმებისგან, რომ მკითხველმა თვითონ შეაფასოს მოვლენა, რადგან ოფიციალური განცხადების საერთო პოზიტიური სულისკვეთება დისონანსშია იმ მდგომარეობასთან, რომელსაც რიგი არასამთავრობო ორგანიზაცია, სახალხო დამცველი, მასმედია და თბილისის ქუჩებში მიმდინარე დევნილთა საპროტესტო აქციები ცალსახად ადასტურებს.

2. საქართველოში გლუკის წარმომადგენლობის განცხადება ერთის მხრივ ადასტურებს ხელისუფლების მიერ დევნილთა გამოსახლების ფაქტს ეყრდნობა რა საკუთარ მანდატს – ხელი შეუწყოს დევნილების დაცვას. იმავედროულად გლუკი აცხადებს, რომ ‘ჯერ კიდევ გამოსახანია გადაწყვეტილება’ დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის.

ეს ნიშნავს, რომ სათანადო გადაწყვეტილება, ჯერ კიდევ არ არის გამონახული, მიუღწეველია გრძელვადიანი განსახლების მიზანი, მაშინ როდესაც გამოსახლების პროცესი დაწყებულია.

3. განცხადების მიხედვით, გამოსახლების მკაფიო პროცედურების განსაზღვრა მიღწეულ მიზნადაა გამოცხადებული. საქართველოში გლუკის წარმომადგენლობა ადასტურებს, რომ დევნილთა გადაყვანის პროცესი მიმდინარეობდა - იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა - სოპ-ის შესაბამისად.

გლუკი არაფერს ამბობს გამოსახლების პროცესის შესაბამისობაზე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ სოპ-ი არ წარმოადგენს იურიდიული ხასიათის ნორმატიულ დოკუმენტს. შესაბამისად, მისი დაცვა, დარღვევა, შესრულება-შეუსრულებლობა არ უნდა გახდეს შეფასების საზომი ისეთი ორგანიზაციისათვის, როგორცაა გლუკის წარმომადგენლობა საქართველოში.

4. სრულიად გაუგებარია გლუკის განცხადება გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით ქართველი იურისტების 'ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების' თაობაზე.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ქართველ იურისტებს სრული უფლება აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები გააჩნდეთ გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით და ეს არ უნდა აღელვებდეს გლუკს.

გლუკს ის ფაქტი უნდა აღელვებდეს მეტად, რომ ქართველ იურისტებს არ მიეცათ შესაძლებლობა, სასამართლოში წარედგინათ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, რათა სასამართლოს კანონიერად და მიუკერძოებლად გადაეწყვიტა, თუ რამდენად სწორად მონდა გამოსახლება.

მეტოც, გლუკი სწორედ იმაზე უნდა წუხდეს, რომ დევნილები სრულიად იყვნენ მოკლებულნი შესაძლებლობას, დაგა საკუთარი უფლებებისთვის ეწარმოებინათ სასამართლო წესით.

5. სამართლიანი სასამართლო უფლების ხელმისაწვდომობა არის ის ფუნდამენტური უფლება, რომლის დაცვა უნდა იყოს გლუკისა და გაერთოს სხვა წარმომადგენლობების მთავარი საზრუნავი და არა საექვო შეფასებების გაკეთება ქართველ იურისტებს შორის ინტერპრეტაციების განსწავებულობასთან დაკავშირებით.

იმავე აბზაცში გლუკის წარმომადგენლობა საქართველოში აღიარებს, რომ მისი დაკვირვების მიღმა აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ქართული სასამართლოს მიერ რაიმე სახის აღმკვეთი ღონისძიების გამოცემა გამოსახლებებთან დაკავშირებით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ გლუკის ინტერესის საგანი უნდა გამხდარიყო გამოსახლების აღმკვეთი სასამართლო აქტის არარსებობა.

ყველამ კარგად ვიცით, რომ გამოსახლების პროცესი ფორსირებულად წარიმართა. გამოსახლებულ ოჯახებს ფიზიკურად არ შეეძლოთ სასამართლოსთვის მიემართათ, რადგან გამოსახლების შესახებ პოლიციის ოფიციალური წერილობითი გაფრთხილება გვიან ღამით მიიღეს, უთენია კი - გამოასახლეს.

ერთადერთი შემთხვევაა კი, როდესაც უფლებადამცველებმა სასამართლოს მიმართეს, უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ვიდრე სასამართლომ საკითხი განიხილა, გამოსახლება უკვე შედგა და, შესაბამისად, მოთხოვნამ აზრი დაკარგა.

6. ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ გლიკის განცხადება, რომ თურმე 'არაგინ დარჩენილა ქუჩაში' უსაფუძვლოა. დღემდე საზოგადოებამ და დაინტერესებულმა პირებმა არ იციან, თუ რამდენი ოჯახი გამოასახლეს, მათგან რამდენი დათანხმდა ან იძულებული გახდა გადასვლაზე, ხოლო რამდენმა თქვა უარი გადასახლებაზე.

ასევე დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა გლუკის განცხადება - 'ფინანსური კომპენსაცია გადაეცათ მათ, ვინც ეკუთვნოდა და ვინც დროულად შეაგსო განაცხადი'. ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ დღემდე საზოგადოებამ და დაინტერესებულმა პირებმა არ იციან თუ კონკრეტულად რამდენმა ოჯახმა მიიღო ფინანსური კომპენსაცია, რამდენი ელოდება, როდის მიიღებს მას და რას ნიშნავს 'განაცხადის დროული შევსება'.

7. ასევე უსაფუძვლოა საქართველოში გლუკის წარმომადგენლობის განცხადება - შეთავაზებული საცხოვრებელი ადგილების ვარიანტების, მათი მზაობისა და განსახლებისთვის შესაფერისობის შესახებ.

დეგნილებს და დაინტერესებულ პირებს დღემდე არ აქვთ ინფორმაცია კონკრეტული ადგილების, ალტერნატივებისა და მათი განსახლებისთვის შესაფერისობის თაობაზე. მეტიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, გამოსახლებული ოჯახები მხოლოდ გზაში, ავტობუსში იგებდნენ თუ სად გადაჰყავდათ. ოჯახებისთვის უცნობი იყო მათი და მათი შვილების განათლების, ჯანმრთელობის, შემოსავლის წყაროს ხელმისაწვდომობა გამოსახლების შემდგომ. აღარაფერს ვამბობთ სოფლებში მიწით სარგებლობის, შემოსავლის სხვა წყაროებსა და შესაძლებლობებზე.

8. ვერ დავეთანხმებით გლუკის მტკიცებას, რომ დეგნილთა სურვილი თბილისში დარჩენის შესახებ არ შეიძლება იქნას ყურადსაღები.

დეგნილთა ოჯახებში არიან სტუდენტები, რომელთა სასწავლებლები მხოლოდ თბილისში მდებარეობს. შესაბამისად, ამ ოჯახების მოთხოვნა თბილისში დარჩენაზე კანონიერი და სამართლიანია, მით უფრო, რომ მათი მატერიალური მდგომარეობა გამორიცხავს თუნდაც დროებით თრ ოჯახად ცხოვრებას.

9. საქართველოში გლუკის წარმომადგენლობა აცხადებს, რომ მისთვის 'ახლა მნიშვნელოვანია' ... 'ისწავლოს ბოლოდროინდელი გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილი'.

ჩვენ გული გვტკივა, რადგან ის, რაც ჩვენი მრავალტანჯული თანამემამულე დეგნილებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია, საქართველოში გლუკის წარმომადგენლობისთვის თურმე სასწავლო გაკვეთილი ყოფილა.

თმით დაზარალებულებმა ყველაფერი სცადეს, რომ შეურიგებლობა და უკმაყოფილება გამოენატათ და თუნდაც მხოლოდ თანაგრძნობა მოეპოვებინათ, მათ შორის გლუკისგან. მეტიც, სამწუხაროდ, ერთი დეგნილი

ქალის თვითშეწირვის აქტივაც კი ვერ გავარღვია უსულგულობის, უსამართლობის, ვიწრო ინტერესების შედეგად აღმართული ყრუ კედელი.

ნინო ციხისთავი, კავკასიის ქალთა ქსელი;
ლია მუნაშაგნია, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი;
არნოლდ სტეპანიანი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა 'შრავალეროვანი საქართველო';
ურია ნანუაშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრი;
ირინა ფუტკარაძე, კოალიცია სამოქალაქო განვითარებისათვის;
გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;
ზურაბ ფუტკარაძე, ჯანმრთელი სამყარო;
თამარ აბრამიშვილი, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი;